

1952/3

ՀԱՅԿԵՐԱՆ
ՆՈՒՆԻՆԵՐԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ



Ն. Ն. Ն. Ն. Ն. Ն. Ն.

6
036060
1952



ბავშვების სიცოცხლეს დავიცავთ

მსოფლიო დიდია,
დიდია,
გახედე: მთაშიაც ბარშიაც!
რამდენი ყვავილი იზრდება,
რამდენი მალხაზი ბავშვია!

ჩვენ გვიყვარს ყოველი მათგანი,
პატარებს მზესავით შევხარით,
ჩვენ გვინდა მათ ომი აშორდეთ,
წამლის და თოფის ხმა მშუქარი.

მაგრამ შორს არ სძინავს ვაშინგტონს,
ხანძრის კვამლს ცაზე შლის ღრუბლებად,
მათ უნდათ ბომბებით წაშალონ
სიცოცხლე—ბავშვების უფლება.

მათ უნდათ:..

მაგრამ ჩვენ დავიცავთ
თაობას—მზესავით საფიცართ!
მსოფლიოს ბავშვების უფლებას—
ბავშვების სიცოცხლეს დავიცავთ!



ს ე ლ ტ ა რ ი

საძარტველს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შრომელთა შორის საბავშვო შუკნალი

№ 6

ივნისი 1952


ფულიყადი XXVI

საქართველო
ბავშვთა შრომისათვის



მ შ ო ბ ლ ი შ რ მ ს ა რ მ ი

ფოტო-ეტიუდი გ. ვახტანგაძისა



ბ ა ვ შ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო დ ღ ე




გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი თავის ნარკვევში «მოგზაურობა საბჭოთა კავშირში» აგვიწერს, თუ როგორ ესტუმრა იგი მოსკოვის გარეუბნის პიონერებს. ბავშვებმა მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი გადასცეს საყვარელ მწერალს, უამბეს ისიც, რომ იმ ხანებში მათს ბანაკში ფრანგი პიონერები ჩამოსულყვნენ. ფრანგ სტუმართა შორის იყო თურმე პატარა ბიჭუნა ლეონი, რომელმაც ახლოს გაიცნო რა საბჭოთა ბავშვების ცხოვრება, აღარ სურდა საფრანგეთში დაბრუნება, ემაღებოდა თავისიანებს, ტიროდა, იხევებოდა, რომ იგი რუსეთში დაეტოვებინათ. პატარა ფრანგი მოხიბლა მზიურმა ქვეყანამ, თავისუფალმა წარმტაცმა სამყარომ, სადაც მისი ტოლები — საბჭოთა ბავშვები — გაზაფხულის ყვავილებივით იშლებიან და იფურჩქნებიან; და

ბუნებრივია ამ პატარას აღარ უნდოდა კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში დაბრუნება, აღარ უნდოდა დაბრუნება იქ, სადაც დიდცია და პატარაც მწარედ გმინავს ძნელი და უმზეო ცხოვრების კლანჭებში, აღარ უნდოდა წასვლა შიმშილის, უბინაობის სამყაროში.

ეს ფრიად საგულისხმო ამბავია. კაპიტალიზმი ისეთივე «საშინელი მტერია ნორჩი თაობისა, პატარა ბავშვებისა, როგორც მათი დედებისა და მამებისათვის. კაპიტალიზმი ატყნობს, ამახინჯებს, უხეშად სთელავს ფეხქვეშ ნორჩი თაობის აწმყოსა და მომავალს. ამერიკაში ყოველწლიურად პოლიცია აპატიმრებს ერთ მილიონ ბავშვს, აქედან ასი ათასი ბავშვი იგზავნება ციხეებში ხანგრძლივი ვადით, ხოლო 35 ათასი გამასწორებელ სახლებში, მძიმე საკატორღო სამუშაოებზე; მიმდინარე წლის აპრილში ვენაში მოწყობილ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციაზე ამერიკის დელეგატმა—ქალმა ვეკსლერმა განაცხადა, რომ პარლემში (ზანგთა უბანი ნიუ-იორკში) დედებს ღამით ვეღარ დაუძინიათ,—როცა ბავშვები დასაძინებლად წვებიან—დედები ყარაულობენ, რათა დაიცვან ისინი მშვიერი ვირთხების თავდასხმებისაგან. იმპერიალისტურ ამერიკაში უარესი ამბები ხდება. ამასწინათ პოლანდიური გაზეთის «ტელეგრაფის» ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ ამერიკაში წლების მანძილზე მოქმედობს ჯგუფი, რომელიც ბავშვებით ვაჭრობს. ეს ჯგუფი იტაცებს და ჰყიდის ბავშვებს; გაყიდულ ბავშვთა რიცხვი ასეულებს აღწევს. და ყოველივე ეს ხდება ამერიკის ფაშისტური პოლიციის თანხმობითა და ხელშეწყობით. საშინელ და აუტანელ პირობებში იმყოფებიან მარშალიზებული ქვეყნების ბავშვებიც. იტალიაში ოთხი მილიონი ბავშვი ცხოვრობს გამოქვამულებსა და მღვიმეებში, შიმშილი მუსრს ავლევს საფრანგეთისა და ბელგიის ბავშვებს. იმპერიალისტებმა გადააჭარბეს ყოველგვარ სიმეცეს, რასაც კი ადგილი ჰქონია ოდესმე ისტორიაში; აი მაგალითად, იაპონიაში, ქალაქ ოსაკას სკოლაში 400 იაპონელ ბავშვს აუღეს



კაბუკი დასავლეთ აფრიკიდან და გერმანელი პიონერი ახალგაზრდობის ფესტივალზე ბერლინში



სისხლი, რათა ეს სისხლი გადაეხსათ ამერიკელი ჯარისკაცებისათვის, რომლებიც დაიჭრნენ კორეაში; იაპონელი მშობლები იძულებულნი არიან მონებად გაყიდონ თავიანთი ბავშვები. მარტო 1951 წელს იაპონიაში გაყიდეს 300 ათასი ბავშვი. ტოკიოში, ისე როგორც პროვინციულ ქალაქებში, დედები თავს იკლავენ: წყალში ცვივიან, მატარებლების ქვეშ ვარდებიან, ისე რომ ბავშვები გულში ჰყავთ ჩახუტებული. მათ იციან, რომ მათი სიკვდილიც შემდეგ მათ ბავშვებს იგივე ბედი უწერიათ. აი, რა მიუტანეს იაპონელ ბავშვებს ამერიკელმა სისხლისმსმელებმა. ფაშისტურ ესპანეთში ბავშვთა 75 პროცენტი ჭლეკით არის დააგადებული, 18 ათას ბავშვს სჭირს ყველაზე საშინელი და შემაძრწუნებელი ავადმყოფობა—კეთრი; მარშალიზებული თურქეთში, სადაც გლეხები იძულებულნი არიან ბალახი სძიონ, მარტო გასულ წელს 300 ათასი ბავშვი მოკვდა შიმშილისაგან. ასეთია ბავშვების ბედი კაპიტალისტურ სამყაროში.

მიხრწინილი და ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირული იმპერიალიზმი ამაოდ ცდილობს თავისი არსებობა მტაცებლური, ბარბაროსული ომებით გაინანგრძლივოს. ეს ომები ანადგურებენ უთავრავე და უამრავ ბავშვთა სიცოცხლეს; კორეაში ამერიკელმა დამპყრობლებმა სამასი ათასი კორეელი ბავშვი მოკლეს; ტრუმენის ჯარისკაცებმა კორეაში ცოცხლად დამარხეს ასი ათასი კორეელი, რომელთა შორის უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ; ამერიკელმა ფაშისტებმა მარტო სენჩენის მაზრაში დედების თვალწინ დაწვეს 70 ბავშვი; 1948 წლის 14 ივლისს საქსპედიციო კორპუსმა ვიეტნამში შეიპყრო ასი ბავშვი და ყველა საშინელი წამებით მოკლა—ბავშვებს

ცალ ფეხზე ფეხს ადგამდნენ და შუაზე ხლოდნენ, აგებდნენ შუბებზე ხუთს ერთად და დენიც დაეტიოდა, ხელ-ფეხს უკრავდნენ და მზეზე ჰყრიდნენ, მანამდე ვიდრე ბავშვებს სული ამოხდებოდათ.

ამზადდნენ რა ახალ მსოფლიო ომს, ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ასეთსავე ხედრს უქადაიან ყველა ქვეყნის ბავშვებს. მაგრამ მოწინავე კაცობრიობა, რომლის სათავეში დგას საბჭოთა ხალხი მშვიდობის დიდ მებრძოლის ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ფიხზლად დგას მშვიდობის სადარაჯოზე, ფიხზლად იცავს ნორჩი თაობის სიცოცხლეს, მის აწმყოსა და მომავალს. მსოფლიოს ხალხები ნებას არ მისცემენ გაცოფებულ იმპერიალისტ კაცობამიებს დაანთონ ახალი ომის ხანძარი; მსოფლიოს ხალხთა დიად სამშვიდობო მოძრაობაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც სისტემატურად, ყოველი წლის 1 ივნისს ტარდება მთელ მსოფლიოში, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თაოსნობით.

მეც მანდ ყოფნა მინატრი

ეს მასის ქარი მოჭრის ყვეილები რომ დათოვა... ტრიბუნაზე სტალინს ჰკოცნის პაწაწინა კონდაკოვა.

მერდს ოცნება მოსწოლია, მეც მანდ ყოფნა მინატრია, სადაც დიდი მოსკოვია, სადაც კრემლის სინათლეა.

დავხედებოდი ბელადს გზაზე ყვეილებსი კალათათი, ვით ვითრი ვეანცელაძე, ვით ტაჯიკი მამლაკათი.

ეს ზოიას ნატერა იყო ანდერძივით რომ დატოვა: ტრიბუნასთან დამდგარიყო ბედნიერი კონდაკოვა!

ნაზი კილასონიძე

მოწინავე კაცობრიობის ბრძოლა მშვიდობისათვის— ეს არის ბრძოლა ბავშვთა დასაცავად, ბრძოლა სიცოცხლისათვის, თავისუფლებისათვის; ეს არის ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ, მონობის წინააღმდეგ; მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც გამოდიან ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერების დასაცავად, შთაგონებულნი არიან ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა კავშირის მაგალითით, სადაც ნორჩი თაობა გარემოსილია საერთო-სახალხო სიყვარულითა და ყურადღებით.

საბჭოთა ბავშვების აღზრდაზე, განათლებაზე, ყოველმხრივ კულტურულსა და ფიზიკურ



განვითარებაზე, განუწყვეტლად ზრუნავს ბოლ-
შევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ბრძენი
ბელადი ამხანაგი სტალინი. საბჭოთა სახელმწი-
ფო უხვად აფინანსებს სახალხო განათლების
საქმეს. მიმდინარე წელს ამ საქმისათვის გადა-
დებულია 60 მილიარდი მანეთი, ხოლო ყველა
სოციალურ-კულტურული ღონისძიებისათვის—
124,8 მილიარდი მანეთი. ჩვენს სამშობლოში
წარმატებით განხორციელებულია საყოველ-
თაო-საგადადებულო სწავლება: საბჭოთა კავ-
შირში მუშაობს 220 ათასზე მეტი სხვადასხვა
სახის სკოლა, სადაც 38 მილიონი ბავშვი
სწავლობს. ჩვენი ბავშვების განკარგულებაშია
შესანიშნავი სასახლეები და პიონერთა სახლე-
ბი, კლუბები და თეატრები, ბიბლიოთეკები და
ტექნიკური სადგურები, პარკები და სტადიონ-
ები, მუსიკალური, მხატვრული და ქორე-
ოგრაფიული სასწავლებლები. ჩვენი ბავშვები
იზრდებიან ლაღნი, თავისუფალნი; საცემით
უზრუნველყოფილია ყველა პირობა მათი ჯან-
მრთელობის დასაცავად.

საბჭოთა ქვეყნის მაგალითს მისდევენ სახალ-
ხო დემოკრატიის ქვეყნები, რომელნიც წარმატე-
ბით აშენებენ სოციალიზმს. ზედნიერი ცხოვრე-
ბის შუქმა გააბრწყინა ამ ქვეყნების ბავშვთა
სიცოცხლე; ისინი სამუდამოდ განთავისუფლდ-
ნენ ძველი ცხოვრების სიღუპურისაგან.

იზრდება და მტკიცდება მშვიდობის საერთა-
შორისო ბანაკი, რომელიც აერთიანებს კაცო-
ბრიობის ყველა პროგრესულ ძალებს, კეთილი
ნების ადამიანებს. ამ ბანაკის ავანგარდში
დგას ჩვენი ძლევათმოსილი სამშობლო, სადაც
მზიური ცხოვრება დაგვიმკვიდრა ჩვენ ლენინ-
სტალინის პარტიამ, ბრძენმა ბელადმა დიდმა
სტალინმა; ჩვენს სამშობლოსკენ სიყვარულით
მიყრბილია მსოფლიოს ყველა მშრომელის
თვალი; მსოფლიოს ხალხები იბრძვიან, რათა
თავიანთი ბავშვებისათვის მოიპოვონ და და-
ამყარონ ის ლამაზი და თავისუფალი ცხოვ-
რება, რომელიც საბჭოთა ნორჩ თაობას ბოლ-
შევიკურმა პარტიამ დაუმკვიდრა. ბავშვთა
დაცვის საერთაშორისო დღე ამ ბრძოლის ნა-
თელი გამოხატულებაა.

ბავშვთა დაცვა—ეს კაცობრიობის მომავ-
ლის დაცვაა—ამ მოწოდებით ატარებენ მსოფ-
ლიოს ხალხები ყოველწლიურად ბავშვთა დაც-
ვის საერთაშორისო დღეს.

ნაზიო ჰიქამთი

საბჭოთა გეოგრაფია

ეს ქალაქები—ულამაზესი,
სოფლები—მწვანით შემოსილები...
ბაღებში ხილი ეღვარებს მზეზე,
ცამდე ასულა ქარხნის მიწები...
სხვაგან სად არის ამგვარი პური?
ან სად ჩქევს გარნობა ლალ სიმღერებად?
ყველაზე კარგი,
პატიოსნური,
ბრძნული წიგნები
აქ იწერება.

მთებზე ეღვარებს
თოვლის გვირგვინი
და მწვერვალებმა ზეცა დახია.
ზღვის ბობოქარი ტალღები გრგვინვით
თავისუფლების ჰიმნს დასძახიან.
ფართოდ გაშლილა

პურის ყანები,
კაცს დაუპყრია მთელი ბუნება...
ასე ძვირფასი,
სათაყვანები
მე სხვა ქვეყანა
არ მეგულება.
აქ ბავშვებიც კი სულ სხვაგვარია:
სიცოცხლით სასვე, ანცი,
ლაღები...


მშრომელთა მტკიცე ხელს აბარია
მთები ზღვები და იალაღები.
და მშრომელებიც სასწაულს ქმნიან,—
აგებენ სახლებს, ფაბრიკებს, არხებს.
ამ ნათელ შრომას მშვიდობა ქვია,
მშვიდობის დროშას ნიაგი არხეგს.
უსმინეთ შრომის ჰიმნს

დაუცხრომელს,
აქ დაიბადა ახალი ერა,
და მხოლოდ აქ აქვს
უფლება მშრომელს
იცხოვროს მშვიდად
და ბედნიერად.

1951 წ.

თარგმანი ვახტანგ კეკელიძისა

სიორგი ნაზაროვილი



მიხეილ მრავლიძე მხატ. ჟანა ჯაფარიძე

იონა ოსტატი

მოთხრობა

ოქტომბერი იწურებოდა. შემოდგომა ნელა, მაგრამ შეუპოვრად მიაბოტებდა სოფლის შარაზე. მიაბოტებდა როგორც დოღლაით დატვირთული მასპინძელი და სიამტბილობით უღიმოდა ყველას.

აკივდა. ღამის სუსხმა თრთვილი დაჰყარა დილაობით. მისი კალთებს შეფენილი პატარა სოფელი ჭადარაჭერული ვაკეპყვიით შეივრცხდა ამ ნაირთვლიანით.

შემოდგომა იონა ლაცაბიძის კარმიდამოსაც ეწვია. სასტუმრო ოთახში თუნუქის ღუმელი აგუგუნდა. ღუმელზე დადგმულმა, თანგირა ქვაბიდან ამოვარდნილმა ოსშივარმა, რაპული ლორის სურნელება მიმოჟანტა ოთახში.

ოჯახის უფროსი, იონა ლაცაბიძე ღუმელს მიუვდა და ხელები ცეცხლს მიუფიცხა. იქნებ არც ისე ციოდა, მაგრამ იონას მაინც ესიაშვინა ღუმელის მზიარული გუგუნვი და სითბო.

მხოვდა იონა. მისი შევერცხლილი წვერები, ნაოჭებით უხვად დაღარული შუბლი და სვედიანი გამოსხვებით აღსაცე თვალები ნათლად ჰღაღადებდნენ, რომ ცხოვრების არა ერთი ქარიშხალი გადაეტანა მათ პატარას, მაგრამ

სათნო ღიმილი, რომელიც ნათელსა ჰქონდა მთელ მის არსებას, მაინც ვერ მოესპო დროთა ქართქროვას.

სამამულო ომში დაღუპულმა, ერთადერთი შვილის დარღმა ვატემა იონა. ჯერ კიდევ მხენ და პირიქით თუ პირაქეთს სახელგანთქმული ოსტატი ერთბაშად წამოაჩოქა უცაბედმა ელდამ. უცაბედმა მეთქი ვამბობ, რადგან ეს ამბავი სწორედ ომის დამთავრების უკანასკნელ დღეებში მოხდა, მიხდა მამში, როცა აღარაინი ადარ ელდა სიკვდილს, როცა ჩვენი ძღვევამოსილი ალამი ამყად ფრიალუბდა კილიდან კილემდე, და მსოფლიოს ომის დასასრულსა და საბჭოეთის ბრწყინვალე გამარჯვებას ამცნობდა.

მას შემდეგ ექვსმა წელმა განვლო, მაგრამ იონას გატეხილი გული მაინც ვერ შეაკოწიწა დრო-კამის მალა-მომ. გული აიყარა ოსტატმა საქმეზე, ხელი შეუშვა ხელობას, ავადმყოფობა მოიმიზეზა და სახლში ჩაიკეტა.

ეწვინა კოლექტივის იონა ლაცაბიძის მწყობრიდან გამოსვლა. ეწვინა მით უმეტეს რომ, ორმოციოდ წლის წინ რაქის მთებიდან პარად ჩამოსული იონა, მუყაითი და გამარჯული მშრომელის სახელს ატარებდა სოფლად. მისი ხელობა იმთავითვე ხურობა იყო. ლაცაბიძის ოსტატობა განთქმული იყო კილიდან კილემდე. რაქველი გლეხის მაღლიანი მარჯვენა იშვითი ხელოვნებით აჩუქებოდა სახლის მოაჯირებს, კიბის რიკულებს, ფანჯრის ჩარჩოებს და გამოსული მუხის ფიქრისაგან შეკრულ კარებს. მის მიერ ნახელოვნები ხის ქერის მორთულობა მუდამ იპყრობდა მნახველის ყურადღებას.

ბევრი სასახლე და ღარბაში მოუპირკეთებია თავის სიცოცხლეში იონა ოსტატს. სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ შესვდებოდა მის ნაოსტატარს კაცი. ბევრი შევირდივ გამოზრდია ლაცაბიძის თავისი სიცოცხლის გზაზე, გეზი მიუცია მათთვის, სასაბერუოდ გაუშვია, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა მათ შორის ისეთი მიხვედრი, აზრის დამყერი და ზუსტი საქმეში, როგორც იმისი პირმშო, ილია ლაცაბიძე იყო. სწორედ ეს უორკეცებდა იონას დარღს.

— წუთისოფელმა ქირის ნამგლით სიხარულის ყანა მოკოო, არ გაგვიცა ქალო, ეს ანდაზა სწორედ ჩვენზეა გამომთქმული—უენებოდა ხოლმე იონა თავის მეუღლეს და ვითომ ცოლის გასამხნეველად, საათობით დაბორობალობდა ლაცაბიძიანთ მიყენებულ ეჭო-ყურეში. ხან საჩეხს მიადგებოდა და ფიჩხის აქუწვას მიჰყვებოდა. ხან კუთხოში მიჰჯდარი უჯინს დანას ლესავდა, ხან კი სახლის პირველ სართულში მოთავსებულ სახელოსნოში შევიდოდა და იქვე ჯირკვლე ჩამოხედარი საათობით შეჭურებდა თაროებს.

თაროზე ჩამოწკრივებულ, ოდესღაც პრიალა საოსტატო იარაღებს ტანგი და ობი შეპარვოდათ. ახლა ოსტატი იშვითად თუ გაისხნებდა მათ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ წუთით შეუთამაშებინა ხელში, წუთით შეველო თვალად და მერე ისევ თაროზე დაეკვო მტერისა და ჯანგის შესაშუქლად.

გულმოკლეული შეჭურებდა თვალზე ცრემლმუშრობელი ნინო გახეზარებულ ქმარს. მართალია კარგად ესმოდა დარბახსულ მანდილოსანს, რომ მისმა მეუღლემ ორი რამ დაკარგა ერთად — მამამ — შვილი და ოსტატ-

მა — შევირიდი, ესმოდა ეს მაგრამ მაინც სტუქსავდა მას გულიში და ქარის უნიათობას ოჯახის მეორე უბედურებად სთვლიდა.

იმედგატეხილ იონას ნუგეშად ერთადერთი შვილი-შვილი და შემორჩა. იმაზე ამოსდიოდა მიხუცეს მხეცა და მთავარც, მაგრამ არც აქ დაიწყო ზედმა ლაყაბიძე-კოლექტივმა თოთხმეტი წლის პატარა უჩა თბილისის ერთ-ერთი სახელოსნო სასწავლებელში განაწესა და ამით კიდევ ერთხელ დაუდასტურა ამავე მიხუცეს გულს შეპარული ეჭვი.

— აღარ მენდობიან თავარა, თუ ხელოვნებ მისდა საქმე, ჩემზე უკეთ ვინ იმ ბიჭს ხელობას! — ფიქრობდა რძალზე განაწყენებული იონა, რომელმაც კოლექტივის, ბავშვის სასწავლებელში წასვლაზე დასტურით მისცა.

უჩას ქალაქში გამგზავრებამ კიდევ უფრო დააობდა იონა ლაყაბიძის სახლკარი. აღარავინ აზნაინებდა ეზოს, აღარავინ ეალერსებოდა დაობლებულ პაპას.

აიგნის კუთხეში ჩამოშდარი, მოაჯირის იდაყვდაყრდნობილი იონა, საათობით გაკუტრებდა ხოლმე ჩამოთოვლილი ტავასიონის მთის წვერებს, შემოდგომის ნაირფერებით შემეკლ ტყეცა და სახლის წინ გაყოლილ მიუჩუბულ შარას, სადაც თათსში ერთხელ ავიყა მამალი თუ გადააჯაჯგებოდა, ან შურა ძაღლი თუ გადაიარებდა კულის მწვეთა და უხალისო ყვეით.

გაკუტრებდა იონა ოსტატი შარას. გაზახუხლზე ამ შარაზე ტრექტორები, სათსი მანქანები და საოშები გუგუნებდნენ. ზაფხულში ბურის ხეავით სასეკ მანქანები დაქროდნენ. შემოდგომზე კი აზნაინებული შარა საღვლობო, მოღდანს დაემგვანა.

აქრიაშულდა არემარე. ყურძნით თავიშობული გოდრებით დატვირთული საპარტო ავტოები და ურბნო ლარიონი გაიშინა გზაზე. საზაზთარი საძოვრებისაკენ დაძრულმა ცხვარმა თავისი ბაკაბუკითა და ბღაილით ყურთასმენა წაიღო.

დატკმა და დაშაქრდა სოფელი. ვეება ქვევრებში ჩაწურული, ახლად დადღებული მჭირის სუნი მძაფრად მოეღო გარემოს და მზებზე გამოფენილი ატმის ჩირისა და ჩურჩხელემის სურნელმას შეურთოდა. მეზობლებმა საჩხუბან წვერებთანყარა თხები წამოაგორეს დასაკლავად და მწყემსებს შეინდის შაფურება დალოციენეს ტყეში, სამწყემსად სორცის ასავებდა. ურბნები დალაზურისის ხმა და საქორწილო მჭირიონის მოხაბილი გაიანმა.

მაგრამ აი მოთავდა უკვე ცველაფერი და დაცარიელდა შარაც. იშვიათად თუ გავიღოდა ახლა აქ მგავარი, გაივრავებოდა წისქვილისაკენ მიმავალი, საუვევილი დატვირთული ურემი. გზაზე შემოდგომის სუსხიანი ქარი დათარემობდა და მტვრის კორიანტელს პხევატავდა.

ნაღობიანად გაკუტრებდა თავისი ავიანდის იონა ლაყაბიძე მიუჩუბულ გარემოს. მას თითქოს მისთვლემოდა კიდევ. ოქტომბრის მზე უთბობდა გაყინულ ძვლებს. აივნთან დარგულ მსხლის ხეს შემოდგომის გახევებული და შეწითლებული ფოთლის მოსწყედა, პეყერი დატრიალდა, ავინისაკენ დაეშვა და ფიქრებში წასული იონა ოსტატის შუბლს ოღნავ შეეხო.

ფიქრებიდან გამოირკვეულმა იონამ თვალი გააყოლა ქარის ტალღაზე აფარფატებულ ფოთოლს. ფოთოლი

მტვრინად შარაზე დაეცა, რამდენჯერმე გადატრიალდა და კუდიანი ქარის ტალღას მიყოლილი, თვალს მი-ვიდოდა.

— იყო და არა იყო რა! — ნაღობიანი ღმირით წაიხურებოდა იონამ და თვალი ახლა მსხლის ხეს შიპაყური. ის მსხლი ოსტატმა რიონის პირიდან ჩამოიტანა და ალაზნისპირეთში დარკო. ილიას ხნისა უნდა ყოფილიყო ნამყენი იონას ნაგავისმოთ.

მძიმემა ავიონობა ლაყაბიძემ, თვალი აარიდა ფოთლებ-შეყვითლებულ ხეს, ნელა წამოდგა და სახლში შევიდა.

თათხის არავინ იყო. მხოლოდ თუნუქის ღუმელი გიზგიზებდა მხიარულად და ღუმელზე შემდგარ თანვირა ქვაბში ღორის ღორი იხარებოდა.

გაუკვირდა იონას. აქ ცვეცხლი იშვიათად ანთებდნენ და ისევ მხოლოდ მაშინ, დღესასწაულის ან სტუმრების მოლოდინში თუ იყო ოჯახი.

იონა ღუმელს მიუჯდა. თვალი მოავლო განსაკუთრებული მჭურუნელობით მიღაგებულ დარბაზს, უჩას მაგიდას და ჩუქურთიან ჩარჩოში ჩასმულ ილიას სურათს.

— ნეტავ სად უნდა იყოს ქეთევან ქალი, ან ეს მზადება რას ნიშნავს? — გაიფიქრა იონამ.

უჩას თბილისში განწყესების გამო, ლაყაბიძე უძრახად იყო ქეთევანთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მაინც მადლიერი იყო ამ ყოჩაღი და დაუღალავი ქალისა.

მას შემდეგ რაც ილია დაიღუპა, მას შემდეგ რაც მამამთილმა სამუშაოზე გული აიყარა, იონა ლაყაბიძის სასეკ ოჯახი რძლის ანაზარა დარჩა.

სახლში თუ გარეთ, საყოლმურნეო მინდვრებში თუ საკარმიდამო ნაკვეთზე, ჯარასავით ტრიალებდა აღრიანად დაქტივიებული ქეთევანი. მხნისა და გამარჯ ახალგაზრდა ქერვის მთელი გულისყური ახლა ოჯახისა და ერთადერთი შვილის მოვლა-პატრონობაზე გადაეცანა. ისე უუნებდებოდა და ისე უღამებოდა, შრომაში გართულ ქეთევანს დღე, რომ ვერც კი ამჩნევდა მას.

პირველ ხანებში უჩას მოშორება ქეთევანსაც ძალიან გაუჭირდა, მაგრამ როცა ასრულდაწონა ყველაფერი, თავისი სიმშვიდე და სიამოვნება შვილის კეთილდღეობას ანაცვალა.

— ცოდნას შეიძენს, ხელობას ისწავლის და კაცად დაგებოა, — იფიქრა მან და შვილის გზა დაულოცა.

მართალია ციციდებოდა ქეთევანს ბაბუა იონა, — შეთვინენ ბაბა-შვილიშვილი ერთმანეთს და ძნელიყო იყო მათი დაშორება, მაგრამ უჩას მომავალი თავისი მოითხოვდა და იონას განაწყენება განზრახულის სისრულეში მოყვანის საქმეს ხელს ვერ შეუშლიდა.

ეს კარგად ესმოდა იონა ოსტატსაც, მაგრამ გული მაინც ეურჩებოდა, რადგან ძალიან ეძნელებოდა ერთადერთი ნუგეშის თვალისა მშობრება. ამიტომ იყო რომ ათას მიწებს ეძებდა ლაყაბიძე და წყალწაღებულებით ხაგის ექედებოდა.

დღესაც ამ ფიქრებში იყო გართული, თუნუქის აგუგუნეული ღუმელთან მიმჯდარი იონა, როცა სამზარეულოდან რაღაცა ყრუ მზაური შემოსმა. ამ მზაურმა ცნობის-მოყვარე ოსტატის ყურადღება მიიპყრო. ის მამინევე წამოდგა და ფრთხილი, შემაბრავი ნაბიჯით სამზარეულო-საკენ გასწავა.



მანქანიდან პირველად უნა გამომბრტა და მომღიმარ პაპას ყელზე შემოებდა.

სამშენიანო კარებთან მისული წითელი შედგა. ღრუჭით შედგულ კარებში რაღასა და მეუღლის მოკრა თვალი. იტყობოდა სამშენიანოში დიდი ფუსფუსი და მზადება იყო. ნინო ახლად დაკლულ გოგონას ტუხად ცეცხლის ალზე. ტუფიანი სახაუბრე ცოცხა ზეღდა ვარცლში. ხონჩაზე უკვე გაპუტული და გაწმენდილი საჩინოთმე დედალი იყო. მაგიდის კუთხეში სატაბაკე ვარები ელაგა. ბაღიაში ნაგვიანევი პომიდორი წითლად დღოდა. კუთხეში ჯარისკაცებით ჩამწკრივებული სველი ჩარქიანები მოწმობდნენ, რომ დიასახლისებს ღვინის ამოღებაც მოუსწროთ ეჭვრიდან.

— რა ამბავია ჩემს თავს? — გაიფიქრა გაკვირვებულმა იონამ და გულაქვრებული კარების რიგს მიყვრდა.

უკვე რა ხანია ასეთი სამზადისი აღარა ყოფილა ლაცაბიძების ოჯახში. ილიას დაღუპვის შემდეგ სასტუმროდ სუფრაც აღარ გაშლილა დიდ დარბაზში. ეხლა კი რა მოხდა განა ისეთი, რომ ასე დაუსუსლად დედაცოცხა. ან იონას რატომ არ შეუთანხმეს სამზადისი. რაღა ოჯახის უფროსია ვითომ ასეთი კაცი. ეწყინა იონას რძლისა და ცოლის თვინებობა. იქვე გადასწყვიტა სულაც გასცლიდა იმ დღისით ოჯახს.

— რაც უნდა ისა ქნან, მე შემომტანი აღარა ვარ ოჯახში და აკი იმიტომ აღარაფერს მეკითხებიანო, — წყრომით გაიფიქრა მან და კიდევაც დაჰპირა აივანზე გასვლა, რომ რაღა-დედაპოლის ბაას მოკრა ყური.

— გვეთქვა იმ კაცისათვის ბარე, სულერთია შეუმჩნეველი არ დარჩება ჩვენი მზადება. — წაიბრტუტა უკმაყოფილო ნინომ და გატუსული გოჭი სუფთა ტაბაკზე დასდო.

— გვეთქვა მაგრამ... უჩან მთხოვა მე თითონ ვეტყვიო ბაბუას ყველაფერს... თითონ უნდა მხარობული იყოს... სკოლის დირექტორს უთქვამს თურმე, იონა ოსტატის ნამოწაური ვარ და ძალიან მინდა იმის ნახვათ. აკი იმიტომაც მოუწვევია სტუმრები სახლში... გარდა მაგისა სწორე გითხრა, ცოტა შემეშინდა უარი არ ეთქვა სამზადისზე, ხომ იგი მაგის ხასიათი, ილიას შემდეგ არავის აღარ ეკარება.—თავი იმართლა ქეთევანმა.

ამ სიტყვების გავრეხაზე გული აუჩქორლდა კარებთან ატუსულ იონას. წყენაც დაავიწყდა. გულს მოწოლილი ბოლმაც ჩაუქრა.

— უნა მოდისო! — სინარული წაიჩურჩულა მან და აჩოჩოლებული, ფეხაკრეფით გაშორდა სამშენიანოს კარებს.

აივანზე გამოსული დიდხანს დაბრიალოდა კუთხიდან კუთხეში. მოულოდნელმა სინარულმა გზაკვლი დაუნებია იონას. ერთხანს გადაწყვიტა სახელოსნოში ჩასვლა და იქაურიბის წესრიგში მოყვანა. კიბეზე მიმავალს უცხად გაახსენდა, რომ წვერი გასაპარსი ჰქონდა. სირცხელი იყო ასე გაჯეჯილი შეხვედროდა სტუმრებს. უნას შეარცხვენდა აპით. უწმერად დაბრუნდა უკან. ფეხაკრეფით შეიპარა ოთახში. სუფთა საცავი და ახალი, დიდიხანის ჩაუცემი შარავალ-ხალათი მიძებნა და ტანთ გადაიცვა.

კარგა ხანს ზოზიალოდა იონა ოფანში. დედაცა, ბედები უკანკალდა. ტურები უთრთოდა. ხან დილს ვერ უყრიდა მარყუქმი, ხან ქამრის ენას ვერცხლის ბაღიაში. ბუზუნებდა, ჯგერობდა, მაგრამ ყველაფერს მაინც განსაკუთრებული მონდომებით და თრთოლვით აკეთებდა.

იქვეც ეს წუთიერი აღტყინება იონას ცხოვრებასთან დაბრუნების ნიშანი იყო.

ამაზე ახლა სულაც არა ფიქრობდა იონა ოსტატი. მას უნდოდა მხოლოდ ჩქარა მოეთავებინა ჩაცმა-მორთულობა და შეუმჩნეველად გააპარულიყო სახლიდან.

სადაღაქოში მიმავალი სულ ღობეებს ეფარებოდა ცვლილობა არავის დაეხანა ასე მორთულ-მოკაშული და გამოწყობილი.

დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა იონა ოსტატი სოფლის სადაღაქოს და გულის ძებრით შეაღო კარები. თუმცა შაბათი დღე იყო, მაგრამ იონას საბედნიეროდ არავინ აღმოჩნდა იმ ხანად დაღაქთან.

ულვაშებდალკაპოწებულმა და გრუზათომიანმა ალექსი დაღაქმა, გაკვირვებით ამახედ-დახედა შემოსულ სტუმარს. მართალია წინათაც ვეფერჯერ შესულა ლაცაბიძე სადაღაქოში და აქ გასაკვირც არა იყო არა, მაგრამ ასე გამოწყობილი და წელგამოილი დიდი ხანია აღარ ენახა ალექსის ოინა.

ლაცაბიძემ თვალი აარიდა დაღაქს. იონას ყურადღება ახლა თითქოს კედელზე გაკრულმა მხარებუიანმა მოტივების სურათმა მიიპყრო. ეს სურათი უსსოვარი დროიდან ეკიოდა აქ და ალექსი დაღაქის საბაასო მასალის დაუმრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

იონაც კარგად იცნობდა ამ გოლიათური ავებულობის ვაკეკას, მის დაბადების წელს, საზღაპრო საქმეებს. მას სრულიადც არ აინტერესებდა ამჟამად ფაღვანი, რომელმაც გულზე დატვირთული მატერიალის მთელი შე-

მადგენლობა გადაიტარა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარა პქონდა ოსტატს, ის იძულებული იყო, ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ყურადღებით დაეთვალიერებინა დღი წინს ნაცნობი სურათი, რათა თავისი აღელვება და უხერხულობა დეფარა ცნობისმოყვარე დალაქის მცდელი თვალებისაკან.

აუღესი დალაქმც იგრძნო ესა და სახეზე აზარფის მძებელი ზრდილობიანი ღმილი აათამაშა. მან მოწინააღმდეგეობა გადაფერთხა ოდესღაც ტყაგებადკრული ძველი სავარგელი და იონა ოსტატს შიგ ჩაბრძანება სთხოვა.

საქმეში ვართულმა ქალებმა გვიან მოიკითხეს? ოჯახის უფროსი. შეფიქრიახებულმა ქეთევანმა მეზობლის ბიჭებიც კი გაგზავნა სახლიდან გასული მამამთლის საძებნელად.

ბიჭმა ამბავი მოიტანა—ბაბუა იონა სადალაქოში ზის და წვერს იკეთებსო.

დამწვიდნენ ქალები. აღარა უთქვამთ რაერთმანეთისთვის.

სადალაქოდან — გამოსული იონა უკვე სახლს უახლოვდებოდა, როცა გზიდან ავტომანქანის ხმა შემოესმა.

ლაცაბიძემ ფეხს აუჩქარა. რატომღაც გადაწყვიტა, რომ ეს მანქანა მათთან მიდიოდა და თან მისი ერთადერთი ნუგეში, დაცარული ოჯახის უკანასკნელი იმედი მოჰყავდა.

იონა ალაყაუს კარებს მიუახლოვდა. ფართოდ გააღო ის და დღინეშემოყრილი ალაყაუს კარების ბოთთან გაჩერდა ძვირფასი სტუმრების მოლოდინში.

კოხტად შემოსირილდა „პოხედა“ ეზოში. მანქანიდან პირველად უნა გადმოხტა და იქვე წინ-წამოვებულ, თვალზე ცრემლმომდგარ და მომღიზირ პაპას ყელზე შემოეძლო.

აივნიდან ეზოში ჩამოფენილი ქალები გარს შემოეხვივნენ სახელსნო სკოლის, ტანსაცმელში გამოწყობილ კარგად ტანაყრილ, სახეგაბრწყინებულ მოზარდს, რომელსაც ეტყობა უკვე ვაჭაკად მოქონდა თავი, რადგან ცდილობდა დედისა და ბებუის ვადამეტებული აღერისსათვის თავდაპირილი ღმილით ეპასუნა.

ქეთევანი ყურადღებას არ აქცევდა ამ ღმილს და ნაწად იგრავდა გულში საყვარელ შვილს. ბებია ნინო ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლს თავშალის ყურით უჩუმრად იწმენდა.

— რა მოგივია და დედი, თავი დამანებე, სირცხვილია, სტუმრებს მიხედდე! — განგებ დაბოხებული ხმით ამობოდა უნა და ნაკოცნ ლოყას ხელით ისრულდა. მანქანიდან კიდევ ორი უცნობი გადმოვიდა.

უჩამ მოასწრო და ბაბუა იონას ყურში ჩასტურჩულა: — ეს ჩვენი სკოლის დირექტორია, ლევან ურილია, ის მეორე კი, ჩვენი კომპაგვირის კომიტეტის მდივანი ხანაწინაშიღლი.

— გელარ მიცანიო, პაკიცემულო იონა ოსტატო! — ღმილით იკითხა ლაცაბიძესთან მიხალგობულმა, ახოვანი ტანის შუახნის კაცმა.

იონა ჩააშტერდა სტუმარს. კარგახანს უცქირა, ეტყობოდა შორეულ წარსულს იფინებდა.

— ევრა, შვილო, ვერ გვიცანი! — დარცხვნით მიუგო მან.


— აღარ გახსოვთ, რიონქების მშენებლობაზე?! — ღმილით მოაგონა სტუმარმა.

— ლევან, ბიჭო! — სიხარულით შესძახა იონამ და გადაეხვია სტუმარს.

ნამუზაგრები ზევით აიყვანეს. ხელ-პირი დაბანინეს შემოსწრებულმა მეზობლებმა სუფრის გაშლამდე სტუმრების შექცევა და გართობა თითონ იკისრეს.



უნა მიუახლოვდა პაპას და ხელი მზარზე დააღო



ლევანი თავის თავგადასავალს უამბობდა იონა ოსტატს. უამბობდა როგორ გაგზავნა კომკავშირმა რიონ-პესიდან დაწვევით სკოლაში, როგორ შევიდა უმაღლესში, როგორ იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. როგორ დანიშნეს ხელმძღვანელად სახელოსნო სასწავლებელში და რა მადლობით იგონებდა განკელილი გზის მთელ ამ მანძილზე თავის საყვარელ მასწავლებელს იონა ოსტატს.

ხიზანიშვილი უნას ქებაში იყო, მოსწონდა მისი აქტივობა... პირდაპირობა, გულმართლობა, სიმეუფო და წარბაქება.

— მამას ჰგავს ბუჯითობაში! — სევდიანი, მაგრამ ამაყი კილოთი, ჩაურთო ლაცაბიძემ.

ტბოდ ბაასში შესვლამდე. დიასახლისმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. უნამ დრო იხელთა და იონა ბაბა გვერდზე გაიხშო.

— ბაბუ! რასა იქ, როგორა ხარ! — აღერისინანდ ჰკითხა უნამ, როცა ბაბა აივანზე დაიპირტოვა.

— როგორ ვიქნები შვილო, ან და მე რა საკითხავი ვარ. — ახლელიანად მიუყო იონამ.

უნა მიუახლოვდა ბაბას, ხელი დაადო მხარზე.

— იყო რა, ბაბუა, ახლა გაგიგებ თუ გიყვარავარ!

— რას ამბობ შვილო, ვერ გაგიგე! — ადღეღებით ჩაილაპარაკა შვილიშვილის საიდუმლო კილოთი დანიტრესელულმა იონამ.

— დირექტორი ერთ რამეს ვთხოვს, აქაც იმისათვის ჩამოვიდა, თუ აუსრულებ ბაბუ, თხოვნას?

— რა თხოვნა არის, ბაბუაშენი გენაცვალს, გამაგებინე? — გაოცებით იკითხა იონამ.

— მე გეკითხები, თუ შეუსრულებ თხოვნას მეთქი? — გაუმეორა უნამ კითხვა.

— ხეირიანად ამისხენი! — გაჯავრდა იონა.

— სიტყვა მომეცო, ბაბუ, სიტყვა! — არა ცხრებოდა უნა.

ბაბა-შვილიშვილი აივანზე იდგნენ. ოქტომბრის ღამის მყუდროებას ათასში ერთხელ უცაბედად მოვარდნილი ქარის ზუზუნით თუ არღვევდა. ობლად შრიალებდა აივანთან დარგული მსხალი. ლაცაბიძემ შესედა ხეს და ისევ ილია გაასხენდა. მერე ხედეა შვილიშვილზე გადაიტანა. ფანჯრიდან გამომკრთალი შუქი ოღნავ ანთებდა მას. იონას წინ ილია იდგა... ნამდვილი ილია...

— კარგი, შვილო, რასა მხოვთ რომ ვერ შევასრულო! — თითქმის ჩურჩილთი ჩაილაპარაკა იონამ.

გახარებულმა უნამ ხელი მოხშვია ბაბას. გადაჰკოცნა. გულაჩუყებული იონა გაოცებით შეჰყურებდა შვილიშვილს.

— წაიფიქრე ბაბუ, სტუმრებთან წაიფიქრე! — მხიარულად შესძახა ყმაწვილმა.

გაოგნებული ოსტატი და სახეგაბრწყინებულმა შვილიშვილიმ დარბაზში სტუმრებს დაუბრუნდნენ. შემოდგომის სიუხვით მადლდაყრილ სუფრას ჩვეულებრივი ბაასი და სიმღერა აჰყვა.

ლევან ურიდამ უნას ღიმილით გადაჰხედა. ღვინით აავსო ჰქიპა და მშვიდად მიმართა ლაცაბიძეს.

— ჩვენ აქ ჩამოსულას ერთი დიდი მიზანი აქვს, პატივცემულო იონა ოსტატო! ამის საბაბი უნამ მოგვცა. ჩვენ სახელოსნო სასწავლებელს თქვენისთანა გამოცდილი ოსტატი და ხურო სჭირდება. თქვენი ვალია ცხოვრებაში მიღებული გამოცდილება ახალგაზრდებს გაუზიაროთ, ჩვენი ვალია განთქმულ ოსტატს სასწავლებლის კარი გაველოთ. ბრძოლის ველზე დაღუპული ერთი ვაჰკაცის სიყვარული ათასმა ვჯღათ.

ლევანი გაჩუმდა, გამამხნევებელი ხმაურით შეხედნენ სტუმრები გულთბილად ნათქვამ სიტყვებს.

თავაჭინდრული ლაცაბიძე უძრავად იჯდა მაგიდასთან. მხოლოდ მხრები უთრთოდა ხანდახან.

— ეხლა სიტყვა თქვენზეა ოსტატო, — გადასძახა ხიზანიშვილმა ფიქრებში წასულ ლაცაბიძეს.


სუფრა მიყურდა. საცამუერში ქარმა კივილი შეწყვიტა და სადღაც გაღმა გადაჰიქოთოდა.

იონა შეირხა. ფეხზე წამოდგა. წელში გაიმართა. ტურებში სათნო ღიმილი უკრთოდა. წუთის წინ მიღულულ ჩამქრალ თვალებში სისხარულის ცვცხლი უღვივოდა. ის აღარ გავდა წვლანდელ იონას, წელში მოხირის და აჩრდილივით ფერდაკარგულს. სტუმრების წინ ეხლა გაცოცხლებული იონა ოსტატი იდგა, რომელიც მხნედ და ამაყად გადაჰყურებდა ოთახში შეკრებილთ.

მან მიიმედ ასწია ხელი, ხალხი გააჩუმდა და მკაფიოდ წარმოსთქვა: — უნას პირობა მივეცი, თანახმა ვარ. მისმსახურეთ, თუ ქვეყანას გამოვადგავნი.

ღილაძედ გასტანა იმ ღამეს ქეიფმა. მეორე დღეს უნასა და ბაბუა იონას მთელი სოფელი აცილებდა.

ქუჩებში კი შემოდგომა მიაბოტებდა. მიაბოტებდა როგორც დოვლათით დატვირთული მასპინძელი და სიამბეტილობით უღამიდა ყველას.





ჩვენი ასალგაზრდა პოეტები

გიციოთ

სიმდიდრით ქუხდა ბევრი ქალაქი,
ბევრიც ებრძოდა დღეებს ავღრიანს,
მაგრამ დიდებით, კალთის ბარაქით,
გორმა დაჩრდილა ყველა ქალაქი,—
ბაბილონი და ალექსანდრიაც.

სასახლეები მძლავრ ხელმწიფეთა
შევაოდნენ ოქროდ, ყვავილ-ბაღნარად...
ქვეყანა შესძრეს პირამიდებმაც,

მაგრამ მოსკოვის კრემლის დიდებამ
ყველა დაფარა.

ვიციოთ, რომ ქუხდნენ გმირთა-გმირები,
ვიცნობთ ყოველი მხარის გოლიათს,
მაგრამ სტალინზე უფრო ძლიერი,
ცაშვე მართალი, სიტყვა ხმიერი
გმირი, სარდალი, არვის მყოლია.

ზურაბ კახიანიძე



კრემლი

გულს აფრთხილებს ტოროლასავით
კრიალა ზეცის ლურჯი კაშკაში;
სივრცეში მოჩანს ოქროს ვარსკვლავი,
ვით შემართული მუშტი ვაჟკაცის.

მას შეუხარია ყოველ სიტყვაზე,
ქვეყნად უშრეტო სინათლის მომუფენს;

რომელ მთას იტყვი, რომელ მყინვარწვერს,
უფრო დიადი ეშენი რომ ჰქონდეს.

კაშკაშებს ჩვენდა გასახარებლად
და თვალს ასარებს სიღვარათით—
კრემლი მშვიდიობის ძალა და ნება,
კრემლი მსოფლიოს აღმოსავლეთი.

მისერ შალაგზაიძე



სამგორის გვადგა

გვალვისგან მოკლულ სამგორის მიწას
ხორშაკი ქარი ტიროდა ხვწეშით.
მიწა განგმირულ კაცივით იწვა
ციცხლის თვლიან თაქარა მზეში.
ახლა ბაღებში ფართე არსებო
მზესა ხედებიან ტალღების ტაშით.
აქ ივრის წყალი არხის ძარღვებით
სამგორს სისხლივით გაუფჯდა ტანში.
ბტალინმა ქვეყნად უკვდავმა ბრძემმა

აქ დაამკვიდრა სიცოცხლე ტკბილი,
ეშენი იცვალა სამგორის მზემაც,
როცა შესხედა სამგორის ღმირი.
შრიალეს ვაზი, შრიალეს ალვა,
რას შრიალდებენ, მითხარ, ნიავო?
— ამზობენ იორს სამგორის გვადგა
თბილისის ზღვაში დღუხრწყაო!

აპაი მენაძე





საუბრები და შეკრებები

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შესახებ

ბიონერთა აღზრდა საბჭოთა პარტიოტიზმისა და ლენინ-სტალინის დიდი საქმისადმი ერთგულების სულსკვეთებით — აი ძირითადი ამოცანა, რომლის გადაწყვეტისაკენ არის მიმართული ბიონერთა ორგანიზაციის მთელი მუშაობა.

დიდი ბელადების ცხოვრება-მოღვაწეობისადმი ბევრი ბიონერული შეკრება და საუბარია მიძღვნილი; ამ შეკრებების მიზანია ჩვენი ბელადების გმირული ცხოვრების მაგალითზე აღზარდოთ ბიონერები ნამდვილ ლენინულ-სტალინელებად, ჩაუუნერგოთ მათ, რომ გახდნენ ისეთი, როგორც იყო დიდი ლენინი და როგორც არის ამხანაგი სტალინი. ეს ნიშნავს მხურვალებდ გიყვარდეს შენი სამშობლო, იყო ყოველთვის და ყველაფერში პრინციპიალური, მართალი და პატიოსანი. არ გეშინოდეს სიმწლეების, შეგეძლოს მათი გადალახვა. ყოველი შეკრება მიძღვნილი ლენინისა და სტალინისადმი ბიონერებში ზრდის კომუნისტური მოქმედების მომავალ მებრძოლთა თვისებებს.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიები არის ნამდვილი საუნჯე ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საუბრები და შეკრებები ასეთ თემაზე უნდა ჩატარდეს კანონზომიერად. როდესაც მაღალი და დაბალი კლასების ბიონერებს ვაცნობთ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს, საჭიროა ავიღოთ ნათელი ეპიზოდები, რომლებზეც ბავშვებს უჩვენებენ, თუ როგორ თავდადებულად იბრძოდნენ ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის წლებიდანვე კაპიტალისტური მონობისაგან, სახლის განთავისუფლებისათვის, ახალი სოციალისტური საზოგადოების ამგებებისათვის.

ბიონერულ გაზეთებსა და ჟურნალებში, საბავშვო წიგნებში მრავალად არის სტატეიები და მოთხრობები ჩვენი დიდი ბელადების ცხოვრებიდან. აქ ნათლადაა მოცემული მათი უსაზღვრო სწრაფვა ცოდნისაკენ, წიგნის სიყვარული, მგრძობიარე დამოკიდებულება ამხანაგებისადმი.

ბიონერულ შეკრებებზე შეიძლება უამბოთ ამაღლებელი ეპიზოდები, ლენინისა და სტალინის რევოლუციური მოღვაწეობიდან; ეპიზოდები, სადაც ნაჩვენებია მათი როლი, როგორც დიდი მოღვაწეობის პარტიის შემქმნელებისა, დიდი ოქტომბრის გამარჯვებათა ორგანიზატორებისა, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა და სულსამადგმელებისა.

ბიონერულ შეკრებებზე III — IV კლასებში ბიონერ-ხელმძღვანელები და მასწავლებლები საუბრებით და მხატვრული ლიტერატურიდან ნაწყვეტების კითხვით გადაშლიან ბავშვების წინაშე ჩვენი ბელადების ნათელ სახეებს. მათ მაღალ მორალურ თვისებებს. ასეთი საუბრები იტაცებენ ბავშვებს, აღნიენ მათზე დიდ გავლენას, ისინი ხდებიან უფრო ორგანიზებული და დისციპლინირნი. V, VI კლასებში ბიონერებს უკვე შეუძლიათ, თვითონ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ასეთი საუბრებისა და შეკრებების მომზადებაში. ბავშვები კითხულობენ წიგნებს, აწყობენ ექსკურსიებს მუზეუმებში და ისტორიულ ადგილებში. ამზადებენ მოკლე გამოსვლებს, სწავლობენ ლექსებს, სიმღერებს, აკეთებენ მაკეტებს, ალბომებს, აწყობენ გამოფენებს.

ამ მიმართულებით უფრო დიდი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ VII კლასის ბიონერებს, ისინი მოამზადებენ მოკლე მოხსენებებს, რეფერატებს, შეადგენენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობათა და გადასახლების ადგილების რუკას. გააკეთებენ არალეგალური მოღვაწეობის სტატიებს და რაზმების შემდეგ ჩატარდება შეკრება და რაზმების მომზადება. სადაც წარმოდგენილი იქნება რეფერატები, ალბომები, და ბლაკატები, ნახატები, რუკები და მაკეტები, მიძღვნილი ბელადების რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა ეპიზოდებისადმი.

როდესაც ასეთი შეკრების გეგმას ადგენენ, ბიონერ-ხელმძღვანელი და მასწავლებელი უნდა შეეცადონ შეკრების თემა დღუკავშირონ რაზმის ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ საქმეებს, მათ უნდა დაიყვანონ თითოეულ ბავშვს უვცდებლად, რომ ყოველ პატარა საქმეში, თავიანთ შედეგში მოქმედებაში იხელმძღვანელონ დიდი იდეებით, იყვნენ ბეჯითი, თანმიმდევრანი.

საბუთა ბავშვების მოავარი საქმეა — კარგად სწავლა. აუცილებელია ასეთი შეკრება ისე წარმართოს რომ საუბრები ლენინისა და სტალინის ბავშვობისა და ქაბუტობის წლებზე ბიონერებს დაეხმაროს, კარგად ისწავლონ, უყვარდეთ წიგნი, იყვნენ კარგი ამხანაგები.

ბიონერებისთვის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა ერთი შეკრებით და საუბრით არ შეიძლება ამოიწეროს. ეს უნდა იყოს რაზმში მთელი აღზრდელიობითი მუშაობის მთავარი ნაწილი.



„დაუვიწყარი 1919 წელი“

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა წუდიდესი სიძნელეები გადალახეს და ზღაპრული გმირობა გამოიჩინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დაცვისათვის ბრძოლაში. სამოქალაქო ომის წლებში შინაურა და გარეშე მტრები, თეთრ-გვარდიელები და უცხოელი ინტერვენტები ცდილობდნენ სისხლში ჩაესწოთ საბჭოთა წყობილება და ძველი რეჟიმი აღედგინათ. მაგრამ ბოლშევიკურმა პარტიამ ბრძენი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალური წინამძღოლობით გაანადგურა სოციალიზმის ყველა ჯურის მტრები. ამ დიადი ბრძოლების ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს ასახავს კინოფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი“, რომელიც გადაღებულია გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟისორის მიხეილ ქიანურელის მიერ. ფილმი „დაუვიწყარი 1919 წელი“ ყურადღებას იქცევს ცხოვრების სიმართლითა და შემოქმედებითი გაბედულებით ასახვით. ყოველი ეპიზოდი ფილმში ღრმა ბუნებრივი განცდებითა და მივლ-ვარებით არის აღბეჭდილი. ამიტომ სურათს თავიდან ბოლომდე უდიდესი გავტაცებით უყურებთ, და თითქმის ცერანზე განვითარებული მოქმედების უშუალო მიმართული ხდებით—ლეღავთ, შფო-შფოთ, შურისძიების გრძნობა გიპყრობთ, როცა ხედავთ იმპერიალისტთა და თეთრგვარდიელთა სახიზლარ მოქმედებას, რევოლუციის საწინააღმდეგოდ ჩასახულ მტრულ შეთქმულებებს. მოუთმენლად

* სცენარი ე. ვიშნევსკის, მ. ქიანურელის და ა. ფილიმონოვის, ოპერატორები ლ. კასმატოვი, ვ. ნიკოლაევი, კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი, რეჟისორები მ. ანჯაფარაძე, პ. ბოგოლუბოვი, მ. შველიძე, მხატ. კაბლუნოვსკი.

ვლით მოვლენების შემდგომ განვითარებას, მაგრამ მაშინვე აღტაცების და მკაფიოების გრძობის გეგმულებით, როცა დანიხავთ, რომ რევოლუციის ძალები უძლებელია, რომ მტერს არ დაეცა, ღლია გატეხოს ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილი და შეკავშირებული რევოლუციური პროლეტარიატი, რომელიც ყოველგვარი მსხვერპლისათვის მზად არის.

რევისიონის განსაკუთრებული გამარჯვება ისაა, რომ უარყვას რთულ მდგომარეობაში კი ნათლად გვიჩვენებს ხალხის დრმა სიყვარულსა და ერთგულებას ლენინისა და სტალინის საქმისადმი. მშრომელი მასები ენდობიან ბოლშევიკებს, მათ იციან, რომ თუ ლენინსა და სტალინს ვაყვებინა არასოდეს შეეცდებიან. მიხელო ქიაურელმა დიდი ძალით გვიჩვენა ისტორიული სიმართლე—ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის ბელადების განუყრელი კავშირი, ერთიანობა. ამასთან რევისიონმა ბრწყინვალედ დახატა მუშათა კლასის ბელადების—ლენინისა და სტალინის დამახასიათებელი ის ადამიანური უბრალოება, ხასიათის ხალხურობა, რაც მათ ყველა ეპოქის მოწინავე ადამიანებისაგან განსხვავებს და მაღლა აყენებს. მუშათა კლასის ქემშარიტი ბელადების ამ ადამიანური სისადავეში ბრწყინვალედ არის შეხამებული ხასიათის სიმტკიცე, ურყვევი ნებისყოფა, რთულ ვითარებაში სწრაფად გარკვევის უნარი, გენიალური შორსმჭკვრეტელობა, იშვიათი ორგანიზატორული ნიჭი.

ფილში პირველი სურათებიდანვე ვხედავთ, თუ რა მიმე და რთული მდგომარეობაა შექმნილი პეტროგრადში და მის გარშემო. მტერი საოგებლბს სიძველეებით და ცდილობს მოსალოდინო უპროფილბო გამოიყოს. მაგრამ თუშები სრულიად სწავნიარად უყურებენ მოვლენებს მათ სურათს, რომ ეს დაბრკოლებები მტრის მიერ არის შექმნილი და რაც მალო მოსალოდინ მას, მით უფრო ადრე შექნიან უფრები ცხოვრებას. გაქირებება დიდია. უცხოელი ინტერვენტები და თეთრი გენერლები ცდილობენ პეტროგრადზე გადასწევები იერიში მიიტანონ. ქალაქის შიგნით ჰქნიან შეთქველბთა ჯგუფებს და აჯანყებას ახადებენ, ჰქრასნია გორკას* ფლოტში ამბოხებას აწყობენ, ტროცკისტ-ბიშოვიეელები ზურგში ღალატობენ, ეს არამხადები გადაწყვეტენ პეტროგრადის ევაკუაცია მახდნიონ და ფლოტი ჩაიბრონ, რათა მტერს გზა გაუხსნან. პეტროგრადის დამარცხება რევოლუციას ამკათო საფრთხეში ჩაადგებდა. ტროცკისტ-ბიშოვიეელებთა ეგრაგული განხრახეთი აღმფრთხილებული ლენინს მაშინვე გადაწყვეტს რევოლუციის ამ ყველაზე რთულ უბანზე თავისი ყველაზე ერთგული და მასლობელი თანაშემბოლო გეგზავნოს:

— სტალინი! ენლა მსოლოდ სტალინი!... წარმოსტევაშს ვლადიმერ ილიჩი და მაშინვე დააბირებს იოსებ ბესარიონის-ძის განაქახებას. სწორედ ამ დროს კომპლის კორიორში გამიზნდება დიდი სტალინი, ოპოლოც მტკიცე და მწიდი ნაბიჯებით ლენინისაგან შეგპარება. მსყურებელს თბილი მლოვარება ბორობას და მოთხოვნად ელის ოქტომბრის რევოლუციის ორი დიდი გენიოსის შეხედრბას. ლენინი აღფრთოვანებული მიეცება იოსებ ბესარიონის-ძეს, მაგრად ჩამორბობებს ხელს და აცდობებს პეტროგრადში შექმნილ მდგომარეობას. ვლადიმერ ილიას ძე საშინელო აღმფრთხილებელი გამორთქვამს ტროცკისტ-ბიშოვიეელებთა ღალატის გამო, ცენტრალური კომიტეტის სახელით წინადადებას მიესცემ ო. ბ. სტალინს დასუკუნებლად გაემგზავროს პეტროგრადში და ყოველნარბად დაიცვას რევოლუციის აკენი. სტალინი მანდებს მიიღებს და მაშინვე ფრთხილყენ გაემგზავრება...

იშვიათია ორი ბელადის შეხედრბის ეს სცენა. იგი დრმად იბეჭდება თქვენს ცნობიერებაში და ერთი წუთითაც არ გვორბდება თვლიდან. როდესაც შემდგ კადრებში სტალინს ხედებით მუშებთან, მეზღვარებთან, ბროპლის ფრანტზე, გგონიათ, რომ ამ დროს ლენინიც აქ არის და სტალინთან ერთად წარმართავს ბრბოლებს... სტალინი მოქმედებს როგორც ბოლშევიკური პარტიის გონებისა და ნებისყოფის გამომსატეელი, როგორც ლენინის უახლოესი თანაშემბოლო და სოციალისტური რევოლუციის გენიალური ორგანიზატორი. მასში, როგორც ლენინში, მუშები, მეზღვარებნი, ჯარისკაცები ხედვენ განსახიერებას ბოლშევიკური პარტიისას, რომელიც მათ უსახლგროდ უყვართ და ენდობიან.

სტალინი ჯავნისასნი მკარბებით უახლოვდება პეტროგრადს, მაგრამ იმის გამო, რომ გზა გაფუჭებულია და ღიანდაგი აყრილია, იგი ვაგონიდან ძირს ჩამოვა და ფეხით გაემგზავრება. სტალინი მიდის და თან გარშემო ყველაფრის აკვირდება. მდგომარეობას აფასებს, მოქმედების გეგმას იმუშავებს. მისი ნაბიჯი ახლაც ისეთივე აუღლებელი და მტკიცეა, როგორიც იყო მაშინ, როცა კრემლში ლენინის კაბინეტს უახლოვდებოდა... ამ ფოლადისებურ ნებისყოფაში თქვენთვის ნათელი სდება, რომ სტალინიან ერთად პეტროგრადს გამარჯვება უახლოვდება.

სადე სტალინი—იქ გამარჯვებაა—აი იდგა, რომლითაც განსკველულია მთელი სურათი.

სტალინის ჩასვლა პეტროგრადში მტერს თავრბას დაცესკს. თეთრი გენერლები და უცხოელი ინტერვენტები, რომლებიც ვაფიცობით ადვენებენ თვალუწის პეტროგრადში შექმნილ ვითარებას, მაშინვე იკრწიბენ, რომ სერიოზულად გარბულდა საქმეს და მათ ალორ შეუძლიათ იოლ გამარჯვებას. ხე იკრწიბენ. ისინი დაუყოვნებლად ერთობლოე ღონისძიებებს მიზარბობენ, მაგრამ მათი ცდები მარცხით მთავრდება, პეტროგრადის რევოლუციური პროლეტარიატი და ფლოტი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებს.

დაუფიქარი 1919 წელს საბჭოთა კიბობლოვნების დიდი გამარჯვებაა; იგი არის მალო-იდერი მსატრელო ქნიილება, რომლის შენცხებითი და აღმბრდლოებითი მნიშველობა განუზომელია.

პ. ჩაქალიძელი



ანა ხახუაშვილი

მხატვარი ალ. ზანძელაძე

ერთ ზაფხულს...

ექსკურსანტები ტყიდან ადრე გამოვიდნენ. მზისაგან გარუჯულ ზაფხებს წყალი მოსწყურდათ და წყაროს ეძებდნენ,

— ბიჭებო, ერთი შეხედეთ რა ფართო და რა მშვენიერი ველია! — წამოიძახა ერთერთმა მათგანმა და სურნელოვანი ჰაერი ხარზად ჩაისუნთქა.

— აბა, ახლა აქეთ გაიხედეთ. აი, ნამდვილი მშვენიერება! — თქვა მეორემ და მხარმარცხნივ პიტალო კლდეზე უჩვენა.

— მიტო! აბა ჩქარა შენი ფურჯი მოიმარჯვე... აი, ძმაო, ნამდვილი სურათიც ეს არის!

ყველამ იქით გაიხედა და აღტაცებით წამოიძახა:

— ხედავთ, არ ინძრევა... პირდაპირ დაბატულსა ჰგავს, ნეტა რა იქნება? თხაა, თუ კანჯარია?

კლდის წვერზე მართლა დიდრქებიანი თხა გადმომდგარიყო და ისე იცქირებოდა, თითქმის თავის თავს დანატრისო.

ზაფხებმა ქვემოთ მხეზე მოპრიალე, კლდიდან გადმომსკდარ წყაროს მოჰკრეს თვალი და იქით გაიქცნენ. ციყაბოზე გადმომდგარმა თხამ ბიჭებს ჯერ გაოცებით გამოხედა, მერე

ზურგი შეიბრუნა და კლდეს მიეფარა, ცოტა ხნის შემდეგ ზაფხები შეგროვილი მცენარეებით, კიაღუებით, მიწნარული ქვებით — კლდიდან მოიწიხტე წყაროსთან ისხდნენ და ჭივილხივილით ხელ-პირს იზანდნენ. მათ შორიახლო ხელმძღვანელი ნინო იჯდა და ღიმილით შესცქეროდა ზაფხების სიამოვნებას. ზაფხებმა რომ ცვი წყლით გული იჯერეს, ნინომ მაჯიდან ოქროს საათი შეიხსნა, წყაროსთან გამოწულ ქიმზე დადო და ხელ-პირის ზანა დაიწყო. ამ დროს გააფთრებული ძაღლის ყეფა მოისმა. ნინომ პირსახოს დაავლო ხელი და ზაფხებისაკენ გაქანდა. ძაღლებმა არ შეაშინორო. თურმე ცხვრის ფარა მოვარდნილ თქეშივით მთიდან სწრაფად დაშვებუდიყო და წყაროს გვერდით საძოვრად გამოილიყო. დიდრქიანი თხა წელან რომ კლდეზე მზვერაყივით გადმომდგარიყო, ცხვარს ამაყად მოუძლოდა. ვეფხვივით თამამი ენაგადმოვდეული ძაღლები ფარას ხან წინიდან უყუფდნენ, ხან გვერდიდან წაუყეფავდნენ, რომ ცხვარი არ დაფანტულიყო.

პიონერების დანახვაზე მკვირცხლმა მეცხვარე ბიჭებმა შეუთქის მყეფარე ძაღლებს და

იმ წამსვე ხმა ჩააცმენდინეს. ბავშვები მეცხვარეებს გამოეხმანენ ურთიერთს მიესალმნენ და ხელად საუბარი გააბეს. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მწყემსი ბიჭები საღამოს საკოლის მოსწავლეები იყვნენ და უმადლეს სასწავლებელზე ოცნებობდნენ.

— ვსწავლობთ მაშ! — აქუქუნებული თვალებით უპასუხა სტუმრებს მაღალმა ბიჭმა. — ახლანდელ დროში განა უსწავლელობა შეიძლება? ვხედავთ, რომ ქვეყანას თითქოს ფრთები შესხმია და დღითი დღე მშვენიერდება. ჩვენს გულსაც ხვდება ეს ამბავი და ჩვენც ვართ სწავლას მოწადინებული!

ბიონერებმა მეცხვარეებთან ერთად სურათი გადაიღეს და ერთმანეთს მეგობრულად დაშორდნენ.

მეორე დღით, როცა ხელმძღვანელი ნინო პირს იბანდა, მაჯაზე ხელი წაივლო და მასინ გაახსენდა, რომ საათი წყაროზე დარჩენოდა. ძლიერ შეწუხდა, მაგრამ არავის შეამჩნევინა. მან მხოლოდ სამი ბიონერი მოიხმო, თავისი ჯავრი მათ გაანდო და ეს ოთხი ადამიანი ბანაკიდან ისე გამოვიდა, არავის გაუგია.

იჩველივ მაღალ მთებს მოკამყამე ცა თავზე სამაურად დაჰქათქათებდა. ბავშვები ამ

სილამაზეს მთელი არსებით გრძობდნენ, მაგრამ მასწავლებლის ხათრით ნაბიჯს არ აწელებდნენ.

— საათი ნეტავ იქ დაგვხვდეს! — გზადაგზა ფიქრობდნენ ბიჭები და მარდად მიაბიჯებდნენ. მათ ფეხქვეშ მაღალხი ოდნავ შრიალებდა და აღმასებდა გაბნეული დილის ცვარნამი ფეხსაცმელებზე უხვად ექაქურებოდა.

ბიონერები წყაროს რომ მიუახლოვდნენ, კლდეზე ჩამოგდარი მოხუცი დაინახეს და საღამი მისცეს.

— დილა მშვიდობისა, პაპა! — ტკბილი კილოთი უთხრა ნინომ და მოხუცი ფიცხლავ ფეხზე წამოდგა.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს გამჩენმა, — უპასუხა მან და ქული მოიხადა. მასწავლებელი იმ ადგილას მივიდა, სადაც გუშინ საათი დაღო, მაგრამ იქ აღარ დაუხვდა. ბალახებსა და კენჭებში ბევრი ხელის ფათურის შემდეგ ნინო მოხუცს მიუახლოვდა და მოკრძალებით უთხრა:

— გუშინ აქ ოქროს საათი დამრჩა და... ვეღარ ვნახე...

მოხუცმა ქალს შეხედა და ერთხანს ხმა არ ამოუღია.

— ოქროს საათი? — მძიმედ ჰკითხა და შუბლი შეიკრა. — საათი თუ აქ დაგრჩა, არ დაიკარგებოდა. წუხელ ცხვარი აქ გვეყენა და უხვო ფეხს არ გაუჭაჭანებია! — მოხუცმა შუბლზე ხელი მოიჩრდილა და მაღალ-მაღალ მწყემსს გასძახა, — შალიკო, აბა ერთი აქეთ მოდი! — შალიკო უმალ გაჩნდა მოხუცთან და მასწავლებელს და ბავშვებს ღიმილით მიესალმა.

— შალიკო, გუშინ საღამოს მასწავლებელს ოქროს საათი აქ დარჩენია! — ამ სიტყვებთან ერთად მოხუცმა მწყემსს გამომწვევი თვალთა შეხედა. ბიჭი გაწითლდა, მაგრამ არ დაბნეულა.



ბიონერებმა მეცხვარეებთან ერთად სურათი გადაიღეს

— დიახ, მართალია... საათი მე ვნახე და აი ჯიბეში მიდევს—თქვა მან და საათი ამოიღო. ბავშვებს და მათ ხელმძღვანელს სიხარულით სახე გაუბრწყინდათ.

— მოითმინეთ!— ხელის აწევით შეაჩერა ქალი მოხუცმა.

— ეგ მადლობის ღირსი არ არის!— დინჯად დაუმატა მან და ისევ შალვას შეხედა.— განა მან არ იცოდა, რომ ეგ საათი თქვენ დაგრჩათ, ჯიბეში რად ინახავდა?! აქ ჩემი სახით უფროსი ეგულებოდა, ჩემთან უნ-

და მოსულიყო და მაგ ნივთს გუშინვე ჩავაბარებდით.— ამ სიტყვებზე შალვა მოუსვენრად შეტრკა და შუბლზე ოფლის ხვითქმა გადაჰკრა. მაინც სიტყვის შეგრუნება მოხუცს არა ჰკადრა, მხოლოდ ისევ ჯიბისაკენ წაიღო ხელი და პზის ხისაგან გამოთლილი ლამაზი კოვზი ამოიღო. მოხუცმა კოვზი ჩამოართვა და დახედა; სპილოს ძვლისფერი კოვზი ისეთი სუფთად, ისე ხელოვნურად იყო გათლილი, რომ ჩარხზე გამოყვანილს ჰგავდა. ტარი ქალის ხელს წარმოადგენდა, მაჯაზე კი პაწია საათი იყო გამოკვეთილი.

— მასწავლებელს საერთოდ პატივსაცემი, — დამნაშავის კილოთი, სთქვა თავჩაღუნულმა შალვამ, — მაგრამ გუშინ ამ პატივცემული ხელმძღვანელის დედობრივი მზრუნველობა რომ ვნახე, გააფთრებულ ძაღლს წინ რომ თავდადებით გადაეღობა, — არასოდეს არ დამავიწყდება და ამიტომ მინდოდა ეს პატივისცემა რითიმე აღმენიშნა! — დარცხვნილ მწყემსს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა, უცებ მოტრიალდა და ამხანაგს გასძახა: — შოთა ერთი წუთით აქ მოდი!

კომბალზე დაყრდნობილი პატარა მწყემსი ადგილიდან სწრაფად მოწყდა და წყაროსთან თავმოყრილ ხალხს მიუახლოვდა.



შენ კაი ბიჭობაში მე არასოდეს ეპვი არ შემპარვია...

— ბიჭო, შოთა, აი, ახლა პიონერთა ბანაკში შენ არ გაგზავნიდი საათისა და ამ კოვზის ჩასაბარებლად?! —

— მართალია! — მკვირცხლად დაუღდასტურა ბიჭმა, — მაგ ამანათის ჩასაწყობად ჩემი რვეულების ქაღალდებიდან აი, ჩანთა გვაგაკეთე, რომ პატივისცემისათვის უფრო რიგიანი სახით ჩამეპარებინა!


შალვამ მოხუც მწყემსს შეხედა და თავისი ქნეით ჩაილაპარაკა:

— თავი ცოცხალი რაღად მინდა, თუ მაგაზე მეტი ნდობა აღარა მაქვს, განა ეგრე მიცნობ?

მოხუცი ისევ ფეხზე წამოიდა და ახლა კი ლმობიერი კილოთი უთხრა:

— შენ კაი ბიჭობაში მე არასოდეს ეპვი არ შემპარვია, მაგრამ უნდა გცოდნოდა, რომ ამ ძვირფასი ნივთის შესახებ გუშინვე ჩემთვის შეგეტყობინებინა. გუშინ საღამოს ეს ამბავი რომ მცოდნოდა, რა დროც უნდა ყოფილიყო, ამ საათს უსათუოდ ბანაკში მიგატანინებდი და ამ ხალხს ტყუილბურალოდ დანაკარგზე ფიქრით არ შეგაწუხებდი, მასწავლებლის პატივისცემასაც უფრო გულდადინჯებით და დროულად მოასწრებდი!

შალვამ თავი ჩაღუნა და მოკრძალებით ჩაილაპარაკა: — ეგ კი ვერ გავითვალისწინებ და მართალია დანაშაულად ჩამეთვლება. აი, ინებეთ, პატივცემული მასწავლებელი, თქვენი საათი! — დარცხვნილ გაუწოდა შალვამ მასწავლებელს კოვზი და საათი.



ამ დღეს ჩვეულებრივზე ადრე ახნიანდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი. მის ყოველ კუთხეში აღისფერყვლსახვევიანი გოგონებისა და ბიჭების წყაროა ხმები გაისმა. აი პირველი რაზმის პიონერები თავიანთ ხელმძღვანელს მე-11 კლასის კომკავშირულ მოსწავლეს სერგო გრიგორიანს შემოჰხვევიან.

— ახნანავო სერგო! ერთხელ კიდევ გადაეხედოთ რუკას. თუშეა მარშრუტი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ლაშქრობის ზოგიერთი ეტაპი მეორე რგოლის გოგონებს ძალიან რთულად წარმოუდგენიათ, შიშობენ კიდევ.—უთხრეს ხელმძღვანელს ბიჭებმა.

— ცხადია, სიძნელეები შეგვხვდება, მაგრამ სწორედ ამიტომ ვატარებთ საწრთვებულ მეცადინეობებს, სპორტულ შეჯიბრებებს, სხვადასხვა თამაშობას. ამით გავივით ვის რა შეუძლია, გამოვავლინებ განძვე, გამბედავი, ფიზიკურად ძლიერი პიონერები. სამედიცინო შემოწმებაც ხომ მოვაწყვეთ. წინასწარ ვარჯიში დიდ დახმარებას გავგიწევს. ახლა უდავოა, რომ ლაშქრობისათვის შერჩეულ ოთხმოცივე პიონერს შეუძლია გაიაროს ეს გზა. გოგონები უმინზეზოდ დღლავენ. ისინი არავის ჩამორჩებიან, ამაში მალე დარწმუნდებით.—თქვა ხელმძღვანელმა.

პიონერული საყვირის ხმამ ხაზზე მოუწოდა ბავშვებს. უმაღლ ჩამწყვრიდნენ რაზმები. პატაკები ჩაბარებულა. თბილისის სტალინის რაიონის მესამე საქალაქო ბანაკის მოლაშქრენი მზად არიან გზას გაუდგენენ. საინტერესო და საკმაოდ რთულია ეს გზა. ბანაკის უფროსმა ა. ვართანოვმა წინასწარ ზედმიწევნით შეისწავლა მარშრუტი, შეადგინა ლაშქრობის გეგმა. შემდეგ რაზმეულის საბჭოს გააცნო. რაზმეულის საბჭომ კი თითოეულ პიონერადღე დაიყვანა თავისი გადაწყვეტილება მოაწყოს ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი—სამგორი—თბილისი.

მწყობრად, მტკიცედ მიიბიჯებდნენ დღეაქალაქის ქუჩებში ზურგჩანთამოკიდებული ნორჩი ლენინელები. აი უკან დარჩა თბილისი, გაიარეს გარეუბნები და მინდორში

გაქრილ შარას გაჰყვნენ. თითოეულ რაზმს წინ მიუძღვის კომპასითა და რუკით შეიარაღებული მეგზური. გოგონები და ბიჭები ახლა მწყვრივში აღარ დვანან. ისინი აკვირდებიან მიდამოს, კრფენ ყვავილებს, იქერენ მწვრებს, აკეთებენ ჩანაწერებს, მაგრამ რაზმს არავინ უნდა ჩამორჩეს. ამას თხიზლად ადვენებენ თვალს ყველაზე ბოლოს მიმავალი ჩამკეტი პიონერები.

აგერ გამოჩნდა ის ორი დიდი ხე, სადაც პირველი შესვენება უნდა მოეწყოს. პიონერებმა ნაშინე იტნეს ეს ადგილი. ნორჩი მოლაშქრენი შეჩერდნენ. მინდორში კომპანინი გუგუნებდა. ბავშვები კოლმეურნეებს შემოეხვივნენ. გაიმართა საუბარი. უფროსებს პიონერთა მოგზაურობის ამბავი აინტერესებდათ, პატარებს კი საკოლმეურნეო სოფლის ახალი ამბების შეტყობა სურდათ.

ოცი წუთის შემდეგ მოლაშქრენი კვლავ



მათ უყვართ ხელსაყმე.



